

## პროექტის - FOREST დასკვნითი ღონისძიება: აზრთა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის ორგანიზებით, ვენეტო აგრიკულტურამ უმასპინძლა "ტყის პროექტის" დასკვნით ღონისძიებას კანსილიოში - იტალიაში - 2022 წლის 23 და 24 ივნისს - თავის ოფისში - "Hangar". ეს უკანასკნელი, ლამაზი ლოკაციაა, რომელიც ნატოს ყოფილ სამხედრო ბაზაზეა აგებული.

ღონისძიებას დაესწრნენ ოთხი ევროპული ორგანიზაციის წევრი სლოვენიიდან, რუმინეთიდან და ხორვატიიდან, რომლებიც შეთანხმებულად თანამშრომლობდნენ პროექტის ფარგლებში:

- GRM Novo Mesto – center biotehnike in turizma
- Forstliche Ausbildungsstätte Pichl
- Asociatia Nationala a femeilor din mediul rural
- Croatian Wood Cluster

პირველი დღე დაეთმო პროექტის მენეჯმენტის შეხვედრას, სადაც პარტნიორებმა განიხილეს პროექტის შედეგები, გაცვალეს მოსაზრებები თავიანთ ქვეყნებში არსებულ ვითარებაზე და ერთად ისაუბრეს შესაძლო სამომავლო თანამშრომლობაზე.

2022 წლის 24 ივნისს, პროექტის - FOREST საბოლოო საჯარო კონფერენცია დაიწყო დილის 10 საათზე, კანსილიოში. კონფერენციას შეუერთდა თითქმის 40 მონაწილე, მათ შორის ტყის და ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოს მფლობელები.

ღონისძიება დაიწყო პროექტის პრეზენტაციით, რომელიც წარმოადგინა ნადია დი იულიომ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციიდან და ფედერიკო კორეალემ ვენეტო აგრიკულტურიდან. შემდეგ აუდიტორიის წინაშე წასრდგნენ პროექტის მენეჯერი ALDA-დან, ალექსანდრა ბრიგო, და ხორვატიის ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორათაშორისი კომპლექსის წარმომადგენელი, ანა დიჯანი, ბუკლეტის „ევროპული სტანდარტების სატყეო კურიკულუმებისკენ“ პრეზენტაციით. როგორც აჩვენა ალექსანდრა ბრიგომ, ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს პროექტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციისა და შედარებითი ანალიზის შეჯამებას, ასევე სატყეო განათლების ჰარმონიზაციისკენ გადასვლის მნიშვნელობის შესახებ რამდენიმე კონკრეტულ მოსაზრებას.

გარდა ამისა, ანა დიჯანმა წარმოადგინა და კომენტარი გააკეთა ხუთ (5) ქვეყანაში (იტალია, ავსტრია, ხორვატია, სლოვენია, რუმინეთი) ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგად მიღებულ ძირითად შედეგებზე.

## პროექტის - FOREST დასკვნითი ღონისძიება: აზრთა გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების დიდი შესაძლებლობა

ზოგადად, კვლევის შედეგები დამოკიდებულია ქვეყანაზე, მის საკანონმდებლო ჩარჩოსა და თანამედროვე სატყეო მეურნეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და ტრენინგის შინაარსი თითოეულ ქვეყანაში განსხვავებულია, შედეგები აჩვენებს, რომ მონაწილეთა თითქმის ნახევარი (46%) არ არის კმაყოფილი სასწავლო პროცესის ორგანიზებით, კერძოდ, ტრენინგის პერიოდში პრაქტიკისთვის დათმობილი საათების რაოდენობით. გამოკითხულთა დაახლოებით 60% ადასტურებს, რომ არ იცნობს და არ იცის ევროპული სერტიფიკატის მნიშვნელობა, რომელიც ადასტურებს შესაბამისი მექანიკური საჭრელი ინსტრუმენტის ხმარების ნებართვას. ამავდროულად, უმრავლესობა (64%) მხარს უჭერს ევროპული ჯაჭვის ხერხის სერტიფიკატის შემოღების იდეას, როგორც სავალდებულო მოთხოვნას დასაქმების პროცესში.

გარდა ამისა, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს იტალიის შესაბამისმა რეგიონულმა წარმომადგენლებმა:

- **იზაბელა პასუტომ** (ვენეტოს რეგიონი) წარმოადგინა სატყეო ტრენინგის სესიის მიმოხილვა ვენეტოს რეგიონში.
- **ვალერიო მოტა ფრემ** (პიემონტის რეგიონი) და **პიერპაოლო ბრენტამ** (IPLA) წარმოადგინა ეროვნული და წარმატებული სტანდარტიზაციის ინიციატივის პრეზენტაცია: "პროექტი იტალიისთვის: სატყეო მეურნეობის ტრენინგის სტანდარტიზაციის გამოცდილება ეროვნული მასშტაბით".

საბოლოოდ, პროექტის პარტნიორები შეხვდნენ **მარტინ კრონდორფერს** "Forstliche Ausbildungsstätte Pichl -ის წარმომადგენელს. მან ისაუბრა სატყეო სამუშაოების უსაფრთხოებაზე და ტყეებში სახიფათო მომენტების შესამცირებლად საჭირო ინსტრუმენტების საჭიროებაზე, როგორცაა სატყეო მეურნეობის მუშაკთა აღჭურვილობა.

- **ბარბარა თურქმა**, სლოვენიდან, GRM Novo Mesto - center biotehnike in turizma -დან წარადგინა პრეზენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ყველა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზასთან, სერტიფიცირების პროცედურებთან, კვალიფიკაციებთან და ახსნა მათ შორის განსხვავებები.

ყავის შესვენების შემდეგ, შეხვედრა გაგრძელდა **ანა ვოროვენჩისა და დიანა ბაკირჩეას** გამოსვლით ასოციაცია Nationala a femeilor din mediul rural - დან, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს ქალის ჩართვაზე სატყეო მეურნეობაში. ასოციაცია ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ განიხილება ტყის სექტორი "ადამიანთა სამყაროდ" და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გამოყოფილი გენდერული აქტივობა. მართლაც, ამ ასოციაციის მიზნებია ხელი შეუწყოს ტყის მესაკუთრე ქალების ჩართულობას სატყეო მეწარმეობაში და მხარი დაუჭიროს ქალებს მიიღონ მონაწილეობა ტრენინგში. და ბოლოს, ანა დიჯანმა, რომელიც გახლდათ ხორვატიის ხე- ტყის მრეწველობის კომპლექსიდან, ისაუბრა მდგრადობის მნიშვნელობის საკითხებზე, როგორც სამუშაოზე უსაფრთხოების ნაწილზე.

ღანჩის შემდეგ, პარტნიორები და კონფერენციის მონაწილეები შეუერთდნენ სასწავლო ტურს კანსილიოს ტყეებში და მოინახულეს ბოტანიკური ბაღი, რომელსაც

ხელმძღვანელობდა ვენეტო აგრიკულტურა (Veneto Agricoltura). დასასრულს, დებატები მონაწილეებსა და პროექტის (FOREST) პარტნიორებს შორის იყო დიდი შესაძლებლობა ყველასთვის, გაეცვალათ მოსაზრებები, გამოცდილება კონფერენციის მთავარი თემის ირგვლივ.